კონკურსი “მწვანე ჯილდო”
დაწყებითი საფეხურის პედაგოგებისთვის (I-VI კლასი)

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი აცხადებს კონკურსს “მწვანე ჯილდო”, რომლის შედეგადაც გამოვლინდება 2020 წლის დაწყებითი საფეხურის საუკეთესო პედაგოგი გარემოსდაცვითი მიმართულებით მთელი საქართველოს მასშტაბით.

„მწვანე ჯილდო” 2018 წლიდან იმართება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელებისთვის, 2020 წლიდან კი საშუალებას იძლევა, ასევე აღმოვაჩინოთ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ის პედაგოგები, რომლებიც ზრუნავენ მომავალი თაობებისთვის სწორი გარემოსდაცვითი ღირებულებების ჩამოყალიბებაზე. კონკურსის მიზანია, მასწავლებლებს აუმაღლოს გარემოსდაცვითი საკითხების სწავლების მოტივაცია და მისცეს საუკეთესო გამოცდილების გაზიარების საშუალება.

კონკურსის წესები:

„მწვანე ჯილდოს” კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა პედაგოგს, რომელიც:

- ამჟამად დასაქმებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და ასწავლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს;
- სასწავლო პროცესში ახორციელებს გარემოსდაცვითი თემების სწავლებას როგორც ფორმალური (პროგრამით გათვალისწინებული), ისე არაფორმალური მიმართულებით.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2020 წლის 20 ნოემბერი.

კონკურსი გაიმართება 2 ეტაპად:

I ეტაპი - განაცხადების შერჩევა
II ეტაპი - განხორციელებული აქტივობების პრეზენტაცია

ორივე ეტაპის შედეგების მიხედვით სპეციალური კომისია გამოავლენს საუკეთესო ათეულს, რომელთაგან გამარჯვებულს გადაეცემა “მწვანე ჯილდო”.

ათეულის ყველა წევრს გადაეცემა სერტიფიკატი და სამახსოვრო საჩუქრები.

კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები

- ეფექტიანი სასწავლო მეთოდების გამოყენება გარემოსდაცვითი საკითხების უკეთ შესწავლის მიზნით, კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამის ინოვაციურად, შემოქმედებითად, მრავალფეროვანი რესურსების და აპლიკაციების საშუალებით სწავლება);
- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამის გარდა სხვა დამატებითი წყაროებიდან მოძიებული ან/და საავტორო დავალებების/აქტივობების გამოყენება; სწავლების პროცესში სკოლის გარეთ არსებული ბუნებრივი გარემოს, დაცული ტერიტორიების გამოყენება; დამატებით მოძიებული და გამოყენებული მასალა; გავლილი ტრენინგი გარემოსდაცვით საკითხებზე;
- საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა გარემოსდაცვითი საკითხების სწავლების პროცესში და გავლენა საზოგადოებაზე;
- საკუთარი გამოცდილების გაზიარება კოლეგებისთვის;
- სამომავლო გეგმები გარემოსდაცვითი სწავლების გაუმჯობესების მიზნით.

კონკურსში მონაწილეობისათვის **ელექტრონულად შეავსეთ განაცხადის ფორმა** (word-ის ფორმატში) და სურვილის შემთხვევაში, დაურთეთ თქვენ მიერ განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა (ერთ საქაღალდედ). ვიდეოს ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.

საკონკურსო მასალების გამოგზავნა შესაძლებელია ელექტრონულად შემდეგ ელ.ფოსტაზე: education@eiec.gov.ge

გთხოვთ, გამოგზავნისას მეილის სათაურში (Subject-ის ველი) მიუთითეთ „მწვანე ჯილდო - დაწყებითი საფეხურის პედაგოგებისთვის".

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ნათია სარალიძე - განათლების პროექტების სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ტელ.: +995 32 2 11 20 23
მობ.: +995 55 35 22 33
ელ.ფოსტა: natia.saralidze@eiec.gov.ge

საკონკურსო განაცხადი

პირადი ინფორმაცია

სახელი და გვარი: _____

დაბადების თარიღი: _____

პირადი ნომერი: _____

ელ.ფოსტა: _____

ტელეფონი: _____

მისამართი: _____

მუნიციპალიტეტი: _____

გთხოვთ, არსებობის შემთხვევაში, მიუთითეთ თქვენი სოციალური ქსელის (FACEBOOK) მისამართი

ფოტოსურათი:

ინფორმაცია სამსახურის შესახებ

სკოლა: _____

სამუშაო სტაჟი: _____

**გთხოვთ, უპასუხოთ ყველა შეკითხვას*

პროფესიული ისტორია

გთხოვთ, მოკლედ ჩამოაყალიბოთ თქვენი პროფესიული ისტორია და მიღწეული წარმატებები

(გაიხსენეთ კონკრეტული გამოწვევები, ინოვაციები, წარმატებები, რომლებიც თქვენი პროფესიული საქმიანობისას გქონიათ)

რას თვლით თქვენს მთავარ პროფესიულ მიღწევად?

გარემოსდაცვითი ღონისძიებები

გთხოვთ, აღწეროთ თქვენ მიერ განხორციელებული გარემოსდაცვითი აქტივობები და პროექტები როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური მიმართულებით.

(აღწერა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: აქტივობის/პროექტის თემატიკა, პროგრამის აღწერა, მონაწილე მოსწავლეების რაოდენობა, დამატებითი ინფორმაცია, რაც, თქვენი აზრით, აქტივობის/პროექტის შესახებ უნდა ვიცოდეთ)

სწავლების მიდგომა

როგორია თქვენი სწავლების მეთოდები, მიდგომა გარემოსდაცვითი საკითხების სწავლებისას?
(რამდენად გამოცდილია ეს მეთოდები? არის თუ არა შედეგიანი? მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები)

დანერგილი სიახლე

გვიამბეთ იმ სიახლეებზე, რომლებიც სწავლების დროს გამოიყენეთ და მიგაჩნიათ, რომ ამან მოსწავლეებში განსაკუთრებული ინტერესი და ცვლილება გამოიწვია.
(მაგალითად, ინოვაციური სწავლების მეთოდები, როგორიცაა თანამედროვე ტექნოლოგიები სწავლების პროცესში, სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და სხვა)

წარმატებები სასწავლო პროცესში

გაუმჯობესდა თუ არა მოსწავლეების გარემოსდაცვითი ცნობიერების დონე თქვენ მიერ განხორციელებული აქტივობების/პროექტების შემდეგ?

აღნიშნეთ შედეგები, რომლებიც თქვენი სასწავლო პრაქტიკით არის მიღწეული *(კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ მიაღწიეს მოსწავლეებმა შედეგს თქვენი სწავლების მეშვეობით. ეს შეიძლება, იყოს თქვენი ან მშობლების დაკვირვების შედეგი, ჯილდოები, ბავშვებში გარემოს მიმართ გაზრდილი პასუხისმგებლობის გრძნობა, მოსწავლეთა შეცვლილი ქცევა)*

დამატებითი აქტივობები და მასალა

გარემოსდაცვითი საკითხების სწავლებისას თუ იყენებთ და ეცნობით დამატებით მასალას?

(დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, კონკრეტულად მიუთითოთ გამოყენებული მასალები, მაგ., ინტერნეტრესურსები, ლიტერატურა, გარემოსდაცვითი თემატიკის ტრენინგები და სხვა)

გავლენა საზოგადოებაზე და მათი ჩართულობა

გვიამბეთ იმ აქტივობების შესახებ, რომლითაც უზრუნველყავით მოსწავლეების ოჯახისა ანდა საზოგადოების სხვა წევრების ჩართვა ან ინფორმირება გარემოსდაცვითი აქტივობების შესახებ

(აღწერეთ აქტივობები. რა გავლენა იქონია საზოგადოებაზე?)

გამოცდილების გაზიარება

უზიარებთ თუ არა თქვენს მიდგომებს გარემოსდაცვითი საკითხების სწავლების შესახებ კოლეგებს?

პროფესიული განვითარება

მონაწილეობთ თუ არა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ტრენინგებში, კონფერენციებში, სამუშაო შეხვედრებსა და სხვა ღონისიებებში?
(დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითეთ: დასახელება, ხანგრძლივობა, თარიღი)

სამომავლო გეგმები
აღწერეთ, თქვენი სამომავლო გეგმები გარემოსდაცვითი საკითხების სწავლების გასაუმჯობესებლად
(დაასახელეთ კონკრეტული პროექტები, რომლის განხორციელებასაც გეგმავთ მომავალში)

რამდენიმე სიტყვით ახსენით, რატომ გადაწყვიტეთ კონკურსში მონაწილეობა და რატომ მიიჩნევთ თავს საუკეთესო კანდიდატად?

დამატებითი ინფორმაცია

ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაცია, რაც შეესაბამება კონკურსის თემატიკას და ფიქრობთ, რომ უნდა ვიცოდეთ.

გისურვებთ წარმატებას!

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

education@eiec.gov.ge

www.eiec.gov.ge

032 211 20 23